ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №1

21.04.2023 წელი

დაბა ქედა,

სხდომა დაიწყო 15:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 16:10 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე - კომისიის წევრი.
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ზაზა დავითაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - სულიკო სურმანიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

21.04.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
5	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
6	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
7	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
8	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ".ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

1. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტი №გ-95. 95230904 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე და განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2023 წლის 20 აპრილი, დღის 18:00 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყიო საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში (წერილის ნომერი: №95-95230933; წერილის თარიღი 03/04/2023), რომლისგანაც მიღებულია მოსაზრებები დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (წერილის ნომერი №12-95230833-95; წერილის თარიღი 24.03.2023). საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტმა გასათვალისწინებლად აღნიშნა შემდეგი საკითხები:

ა) „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის სახელწოდება მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ზოგადად, შემდეგი რედაქციით: „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ".

ბ) პროექტის №2 დანართის, საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, მე-2 გვერდზე გასაჩივრების ნაწილში აუცილებელია მიეთითოს, რომ პირს, ვის მიმართაც არის გამოტანილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის დადგენილება, მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში, შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) - ქედის მუნიციპალიტეტის მერთან, ხოლო ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე – სასამართლოში.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა სულიკო სურმანიძემ აღნიშნა, რომ მიღებული მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ და წარმოადგინა განახლებული დადგენილების პროექტი დანართი №1-ის შესაბამისად.

საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის - ზაზა დავითაძის განმარტებით მიზანშეწონილია ნორმარტიული აქტის მიღებასთან დაკავშირებული შესაბამისი პროცედურებისა და წესების სწორად დაცვა. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის მორიგი სხდომა. შესაბამისად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №გ-95. 95230904 განკარგულებაში განხორციელდეს ცვლილები და ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის მორიგი სხდომა.

ზაზა დავითაძის განცხადებით ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღის ცვლილება განპირობებულია ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ენობრივი სისწორის თვალსაზრისით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების შესაბამისად, ჩვენს მიერ გადაგზავნილი დოკუმენტის ვადებში დაბრუნების პროცედურებთან.

კომისიის წევრებს განახლებული დადგენილების პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების

შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №გ-95. 95230904 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ წინადადება კენჭისყრაზე დააყენა:

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №გ-95. 95230904 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვა.

2. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას უზრუნველყოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №გ-95. 95230904 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის მომზადება და საკრებულოს ბიუროზე წარდგენა.

2. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტი №გ-95.95230905 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2023 წლის 20 აპრილი, დღის 18:00 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყიო საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში (წერილის ნომერი: №95-95230933; წერილის თარიღი 03/04/2023), რომლისგანაც მიღებულია მოსაზრებები დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (წერილის ნომერი №12-95230833-95; წერილის თარიღი 24.03.2023).

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა სულიკო სურმანიძემ აღნიშნა, რომ მიღებული მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ და წარმოადგინა განახლებული დადგენილების პროექტი დანართი №2-ის შესაბამისად.

კომისიის წევრებს განახლებული დადგენილების პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის მოსაზრებების გათვალისიწინებით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი (დანართი №2) საკრებულოს სხდომაზე დამტკიცების მიზნით კენჭისყრაზე დააყენა.

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე დანართი №2
2. საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 16:10 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე — ვაჟა აბულაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი
სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში — ციური ზაქარაძე